თელასი

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ.3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

სწ 202052580

N: 0307/228/24
07/03/2024

შპს "ჯორჯიან დაინემიკ ფაუერის" დირექტორს
ბატონ გეგა ქორიძეს
საკონტაქტო ტელ: 598 [illegible] 99 99

მიმდინარე წლის 01 მარტის #0301/707/24 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, სს "ენერგო-პრო ჯორჯიას" მაღალი ძაბვის ქვესადგურის "ზაჰესი-35" ტერიტორიაზე (ს/კ: 01.72.12.148.002) 6 კვ-ის გამანაწილებლის მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი გენ.გეგმის შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ სამშენებლო ტერიტორიაზე გადის სს "თელასის" კუთვნილი 6კვ ძაბვის ძალოვანი კაბელები (ZH03 - 9672 და ZH18 – 9672). სს „თელასი“ არ არის წინააღმდეგი წარმოდგენილი გენ.გეგმის მიხედვით განახორციელოთ სამშენებლო სამუშაოები შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

1. სამშენებლო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული მიწის გათხრების წარმოებისას ადგილზე გამოძახებულ უნდა იქნას სს „თელასის“ ტექნიკური სამსახური, საკაბელო ხაზების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით;
2. 6 კვ-ის გამანაწილებლის მშენებლობის პროექტში გათვალისწინებული უნდა იქნას სს „თელასის“ საკაბელო ხაზების გადატანა ძველი გამანაწილებლიდან ახალ გამანაწილებელში;
3. პროექტი საკაბელო ხაზის მოწყობის და სარელეო დაცვის დანაყენების ანგარიშის ნაწილში უნდა შეთანხმდეს სს „თელასთან“.

პატივისცემით,

სს „თელასის“ ტექნიკური დირექტორი მამუკა ქობალია

მოამზადა:
საწარმოო-ტექნიკური სამსახურის უფროსი
თეიმურაზ გამრეკელაშვილი
(ტელ: 2779999 1-7882)